<table>
<tr><td>სკოლის დასახელება</td><td colspan="2">ბრიტანულ-ქართული აკადემია</td></tr>
<tr><td>მასწავლებელი</td><td colspan="2">თამარ ბრეგვაძე</td></tr>
<tr><td>ნაწყვეტი წიგნიდან</td><td colspan="2">მარიანე კაურინი - „ჩვენი სამხრეთი“</td></tr>
<tr><td>სწავლების საფეხური/კლასი</td><td colspan="2">მე-4 კლასი</td></tr>
<tr><td>აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)</td><td colspan="2">1. შეცვალე ცხოვრების სტილი<br>2. ქალაქის მერი - დისნეის მეთოდით<br>3. იდეის ავტორი</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1<br><br>შეცვალე ცხოვრების სტილი</td><td>აქტივობის აღწერა<br>კლასი დაიყოფა რამდენიმე ჯგუფად.<br><br>ჯგუფები ერთად განიხილავენ დედა-შვილის კვების რაციონსა და დღის რეჟიმს.<br><br>ერთობლივად შეადგენენ ჯანსაღი კვების რაციონსა და აქტიური ცხოვრების რეჟიმს.<br><br>ჯგუფის წევრები წარადგენენ საკუთარ გეგმას და ისაუბრებენ თითოეული პუნქტის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.</td><td>აქტივობის მიზანი<br>აღნიშნული დავალებით მოსწავლეები გაიაზრებენ აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობასა და აუცილებლობას.<br><br>გაიუმჯობესებენ ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარს.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2<br><br>ქალაქის მერი</td><td>აქტივობის აღწერა<br>საგაკვეთილო პროცესში ჩა-ვრთავთ როლურ თამაშს.<br><br>დოლურაში ჩავყრით პატარა, ფერად ფურცლებს.<br><br>4 მოსწავლეს შეხვდება „ქალაქის მერი“, ხოლო დანარჩენებს „მერის მოადგილე“.<br><br>ნაწყვეტის მიხედვით</td><td>აქტივობის მიზანი<br>აღნიშნული აქტივობის მიზანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ პრობლემის იდენტიფიცირება,<br><br>პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება.<br><br>პასუხისმგებლობის გააზრება.</td></tr>
</table>

ყველაზე წიგნიერი

| | | |
|---|---|---|
| | დაასახელებენ ტიტენის დასახლებაში არსებულ პრობლემებს.<br><br>დისნეის მეთოდის მიხედვით ჩამოწერენ იდეალურ, საოცნებო ქალაქს, გააკრიტიკებენ თავიანთ იდეებს და დატოვებენ ყველაზე რეალურს.<br><br>ბოლოს წარადგენენ ტიტენის განვითარების გეგმას. | |
| **აქტივობა 3**<br><br>„იდეის ავტორი“ | **აქტივობის აღწერა** | **აქტივობის მიზანი** |
| | მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად.<br><br>დამოუკიდებლად მოიფიქრებენ აქტივობებს, რომლებსაც შესთავაზებენ ინას:<br>რა შეუძლია გააკეთოს სახლში ზაფხულის არდადეგებზე.<br><br>მთავარია, რომ ტექსტის მიხედვით დააკვირდნენ და მაქსიამლურად წარმოაჩინონ ინას **ინტერესთა სფერი** (მაგ: უყვარს ყველაფრის დათვლა)<br>და **შესაძლებლობები** (Youtube.com)<br>დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ მოსწავლეები აგრძელებენ წყვილებში მუშაობას.<br><br>მეწყვილესთან ერთად განიხილავენ თავიანთ იდეას.<br>ცვლიან,<br>ამატებენ,<br>აკლებენ რაიმეს სურვილის მიხედვით. | აქტივობის მიზანია, რომ მოსწავლეებმა გაიუმჯობესონ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.<br><br>შეძლონ მისგან განსხვავებული აზრის მოსმენა, გაზიარება, გათვალისწინება.<br><br>თავად აღმოაჩინონ, რომ ყველა სიტუაციიდან შეიძლება არსებობდეს გამოსავალი. |